
S-02
4
3
2
1
700
710
700
2 110
S-01
B
A
660
1 820
660
500
418,93 ²
-3,00
20,59 ²
-3,00
6,80 ²
4,06 ²
-3,00
12,00 %
660
1 820
660
500
90
1 377
700
710
700
1 130
2 110
S-02



ყოველივე ზემოთ ხსენებულის და მთლიანი დასაბუთების მიხედვით, საპროექტო შენობისთვის უკანა ეზოს დატოვებით შენობის დაპროექტება შეუძლებელია. გთხოვთ გაითვალისწინოთ წარმოდგენილი დასაბუთება და მოგვეხსნათ აღნიშნული უკანა ეზოს შეზღუდვა, ასევე აღნიშნული გეგმარებები არ არის გაყიდვების თვალსაზრისით კარგი დაგეგმარებადი.
გამომდინარე ყოველივედან გთხოვთ მოგვეხსნათ უკანა ეზოს შეზღუდვა რომელიც არსებულ და ჩამოყალიბებულ განაშენიანებას არანაირად არ დააზიანებს.

ჩვენს მიერ განხილული იქნა წარმოდგენილი პროექტის კორექტირებული ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს ავტო-სადგომების სართულის -2.80 ნიშნულამდე ჩაწევას რის მიხედვითაც აღმოსავლეთის მხარეს ხდება 2 შესასვლელის მოყობა, რისი ნებართვის თანხმობასაც ტრანსპორტის სამსახური არ გასცემს. აღნიშნული მიწის ქვეშა სართული ითხოვს პანდუსის მოწყობას რის მიხედვითაც 1 შესასვლელიდან ვერ ხერხდება ორივე შესასვლელთან მოხვედრა რადგან მოსახვევი ითხოვს 3.5 მეტრის რადიუსს.

215

300

300

1 305

3 917

25,25 მ²

კ-2 კროკი მე-2
სართული

449,48 მ²

23,76 მ²

1 212

ღერძული ხაზი


215
300
300
1 263
25,25 м2
3 917
კ-2 კროკი მე-3
სართული
449,48 м2
23,76 м2
1 212
ღერძულა ხაზი

215

300

300

1 288

1 223

3 917

25,25 მ²

კ-2 კროკი 4-9
სართული (2955 კვ.მ.)

492,48 მ²

23,76 მ²

1 212

ღერძული ხაზი


215
300
300
1 488
3 917
62,65 м2
კ-2 კროკი მე-10
სართული
411,88 м2
65,66 м2
1 212
ღერძულა ხაზი



ჩვენს მიერ განხილული იქნა წარმოდგენილი პროექტის კორექტირებული ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს ავტო-სადგომების სართულის -2.80 ნიშნულამდე ჩაწევას რის მიხედვითაც აღმოსავლეთის მხარეს გზის დონესთან მიმართებაში -2.80 ნიშნულზე ჩასვლას. აღნიშნულის მიხედვით არსებული 300 სმ დიამეტრის მქონე მილების მიმართ 5 მეტრის დაშორებით რკინა ბეტონის მონოლითური კონსტრუქციის მოწყობა „ჯი ვი პი“-ის მიერ იკრძალება შესაბამისად უნდა მოხდეს შუა ნაწილიდან უკანა ეზოში გასვლა.

ხოლო რაც შეეხება სიმაღლის დადგენას აღნიშნული დაშორებებით და შენობის გადაწევით ვერ ხერხდება სიმაღლეში ჩატევა, შესაბამისად გთხოვთ გაითვალისწინოთ და მოგვიხსნათ უკანა ეზოს შეზღუდვის რეგულირების ხაზი.

ასევე გრუნტის მოჭრის შემთხვევა იქნა განხილული რასაც ცალკე ჯი-ვი-პი-ის თანხმობას საჭიროებს, უარის შემთხვევაში მოხდება მე-3 სართულის შეწევა მე-2 სართულის მსგავსად რადგან მოხდეს სანიტარული ნორმების დაცვა.

№ 06/1-0689096 D 12.09.2022

ბატონ მიხეილ ჯინჭარაძეს
ელ. ფოსტა: m.djincharadze78@gmail.com
ტელეფონი: 591 01 83 73

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრირებული IN22-0687577, დათარიღებული 06/09/2022წ.) რომლითაც მოთხოვნილია გიორგი ბრწყინვალის ქ. #20ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკ.კოდი: 01.10.06.014.129 მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან. „კომპანია“ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები წარმოდგენილი გენ. გეგმის შესაბამისად.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის“ წარმომადგენელს:

ვაკე-საბურთალოს ბიზნეს ცენტრის მენეჯერი კახა წამალაიძე. ტელ: 595 11 55 99;

დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ჯ. ჩაჩხალია; ლ. გაგნიძე
ტელეფონი: 239 11 11 (11-27); (21-02)

048399

IN22-0687577

GWP
შპს "საქართველოს წყლის და ენერგეტიკული სისტემების ეროვნული ოპერატორი"
ვაჩე-საბურთალოს ბიზნეს ცენტრი
შემოსულია
ხელმძღვანელი
რეგ. №
"7" სექტემბერი 2022წ.
საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით
ტელ: 032 2 93 11 11



პროექტის სახელწოდება	
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი არქიტექტურული ნაწილი	
ქ. თბილისი ვაჩის რაიონი ბაქურიანის ქუჩა N20ა	
ს/კ 01.10.06.014.124	



2022 წელი			

თანხმობა

მე როგორც შ.პ.ს. „ალუ“ (405158289) -ს დირექტორი ალუდა ჩარკვიანი (პ.ნ. 53001010962) მისი წარმომადგენელი/მინდობილი პირი გია ძიმისტარიშვილი (პ.ნ. 01026011428) ვაცხადებ თანხმობას მასზედ რომ, შ.პ.ს. „ალუ“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.10.06.014.129, მოხდეს ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, კერძოდ მოხდეს უკანა ეზოს შეზღუდვის მოხსნა განაცხადის ნომრით AR1921250. ასევე მოხდეს შესაბამისი დოკუმენტაციის მოგროვება, პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვება.

წარმომადგენელი/მინდობილი

გია ძიმისტარიშვილი (პ.ნ. 01026011428)

გია ძიმისტარიშვილი

Scanned by TapScanner

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N221388723
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	12.10.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	თამარ ბაქრაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591 701 115; 322 43 28 70;
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	58647611394322

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორი ათას **ოცდაორი** წლის **თორმეტ ოქტომბერს** მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ/დიღომი, ი. პეტრიწის ქ. #16, მომმართა **გია ძიმისტარიშვილმა.** მან წარმომიდგინა **თანხმობა** და განაცხადა, რომ სურს მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **გია ძიმისტარიშვილმა (დაბ. 12.02.1993 წელს, პირადი # 01026011428)** მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. მე ასევე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე განვუმარტე მას, რომ პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსის სამართლებლივ შედეგებზე და არც დოკუმენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე და ვამოწმებ მხოლოდ მხარის ხელმოწერის ნამდვილობას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტს, რასაც ვამოწმებ.

ორ ეგზემპლარზე დამოწმდა ორი ხელმოწერის ნამდვილობა და გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 12.00 (თორმეტი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –2.16 ლარი. სულ ჯამში: 19.16 ლარი.

ნოტარიუსი: /თამარ ბაქრაძე/

Scanned by TapScanner

Scanned by TapScanner

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

05494942454122

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N221128555

რეგისტრაციის თარიღი

31.08.2022 წ

ნოტარიუსი: ინგა ხარძიანი

მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველი სართული

ტელეფონი: 2308930; მაგთი ფიქსი: 790761651; მობ: 599502834;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

Scanned by TapScanner

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცდაორი წლის ოცადეთრთმეტ აგვისტოს, მე, ნოტარიუს ინგა ხარძიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6 პირველ სართულზე, მომმართა **ალუდა ჩარკვიანმა**, რომელმაც განაცხადა რომ სურს **გია ძიმისტარიშვილს** (დაბ. 12.02.1993წ. თბილისში, პირადი #01026011428, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზირი, N 13ა, ბინა 24) მიანიჭოს შესაბამისი უფლებამოსილება, სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით: **ალუდა ჩარკვიანი** - დაბ. 05.04.1975წ. ლენტეხში, პირადი #53001010962, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ავჭალა-2 დას. შ. ნუცუბიძის ქ. 6. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულიად შეესაბამება მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდაორი წლის ოცადეთრთმეტ აგვისტოს, ამ მინდობილობით **ალუდა ჩარკვიანმა**, რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც "მიმნდობი", **გია ძიმისტარიშვილს**, რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც "მინდობილი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. წინამდებარე მინდობილობით მინდობილი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით მართოს და განკარგოს მისი და შპს "ალუ"-ს (ს/კ 405158289) კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონება, მათ შორის: დადოს კანონით ნებადართული ხელშეკრულებები, დადოს გარიგება საკუთარ თავთან, გადაიფორმოს საკუთარ სახელზე, გაყიდოს (მათ შორის გამოსყიდვის უფლებით), იყიდოს, გააჩუქოს/იჩუქოს, გაცვალოს, დატვირთოს იპოთეკით ნებისმიერ ფიზიკურ და/ან იურიდიული პირების სასარგებლოდ, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს ყველა ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებების პირობები, დადოს, გააფორმოს და ხელი მოაწეროს მიმნდობის მაგივრად შესაბამის ხელშეკრულებებს სანოტარო ბიუროში და/ან საჯარო რეესტრში, დაარეგისტრიროს ხელშეკრულებები საჯარო რეესტრში, მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები და დამატებები მიმნდობის მიერ დადებულ ხელშეკრულებებში, გააუქმოს მიმნდობის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულებები (მინდობილობის გაცემამდე დადებული ხელშეკრულებებიც) იყოს მიმნდობის წარმომადგენელი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, კერძო და საჯარო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში, ნებისმიერ სადაზღვევო კომპანიებში, სანოტარო ბიუროში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, ნებისმიერ არქივში, იუსტიციის სახლში, სსგს სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, წარადგინოს და მიიღოს საჯარო რეესტრიდან შესაბამისი დოკუმენტები, მათ შორის ამონაწერი, საკადასტრო რუკა (გეგმა), აზომვითი ნახაზი, უფლებამოსილია გააკეთოს შპს "ალუ"-ს (ს/კ 405158289) კუთვნილ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე აზომვითი ნახაზები და მოახდინოს მისი გამიჯვნა და/ან გაერთიანება მომიჯნავე უძრავი ქონებ(ებ)ისაგან, ჩააბაროს აზომვითი ნახაზები, მოაწეროს ხელი გამიჯვნის და/ან გაერთიანების ხელშეკრულებას, განცხადებას, შეთანხმებას, თანხმობას, ასევე მოახდინოს ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ფართის ცვლილება (რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია) და დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრის შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში მიმნდობის სახელზე, ასევე განახორციელოს ნომრის მინიჭება, აზომვითი სამუშაოების ჩატარება, ფართის დაზუსტება, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანა და რეგისტრაცია შესაბამის ინსტანციებში, აწარმოოს მოლაპარაკებები, დაიცვას მიმნდობის ინტერესები ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციულ, ადგილობრივ და კომერციულ ორგანოებში, იყოს წარმომადგენელი საქართველოს გამგეობებში, მერიაში და მის დაქვემდებარებაში მყოფ ნებისმიერ სამსახურებში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ასევე დაგეგმარებისა და ზედამხედველობის სამსახურში, საპროექტოში, გამწვანების სამსახურში, წარადგინოს და/ან მიიღოს მიწის ნაკვეთზე პროექტის შეთანხმებაზე ნებართვა და მშენებლობის უფლება, შეცვალოს ან შეიტანოს კორექტირება პროექტში, შეათანხმოს პროექტი და აიღოს მშენებლონის ნებართვა არქიტექტურის სამსახურიდან, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს, ნებართვებს და/ან თანხმობებს, ასევე ყველა საჭირო დოკუმენტებს, რაც აუცილებელია უძრავი ქონების ექსპლუატაციაში მიღებასთან და დარეგისტრირებასთან დაკავშირებით, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურებთან, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, მოამზადოს, შეიტანოს/გამოიტანოს სამშენებლო პროექტი, საჭიროებისამებრ დააკორექტიროს არქიტექტურული პროექტი, მიიღოს მშენებლობის ნებართვა და აწარმოოს სამშენებლო, სარემონტო, საპროექტო სამუშაოები, განახორციელოს ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე მშენებლობა, იყოს წარმომადგენელი თელასში, წყალში (GWP), დასუფთავების სამსახურში, გაზში და სხვა ნებისმიერ

Scanned by TapScanner

კომუნალური მომსახურების ორგანოებში, გაზგამანაწილებელ და ელექტროგამანაწილებელ სამსახურებში, განახორციელოს ელექტროენერგიის, წყლის და გაზის გამორთვა, ჩართვა, ჩახსნა, აბონენტად რეგისტრაცია, წარადგინოს მიმნდობის სახელით საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები შესაბამის ორგანოებში და გააფორმოს კომუნალური მომსახურება მიმნდობის სახელზე, იყოს წარმომადგენელი საქართველოს მოქმედი ნებისმიერი სატელეფონო და ინტერნეტ პროვაიდერი კომპანიების მომსახურების ოფისში, შეიყვანოს და დაამონტაჟოს ინტერნეტი და/ან ტელევიზია, მიმნდობის სახელით დადოს საქართველოს მოქმედი ნებისმიერი სატელეფონო და ინტერნეტ პროვაიდერი კომპანიებთან შესაბამისი ხელშეკრულება/შეთანხმება, შეიტანოს მასში ცვლილება, გააუქმოს/შეწვიტოს შესაბამისი ხელშეკრულება/შეთანხმება, იყოს წარმომადგენელი სსიპ-ებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროში და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, შემოსავლების სამსახურში, სახელმწიფო ხაზინაში, მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი და სხვა სავალდებულო გადასახადები, მოსაკრებელი, სახელმწიფო ბაჟი, შეკრიბოს, წარადგინოს და/ან მიიღოს (გამოითხოვოს) ყველა საჭირო დოკუმენტები, მოაწეროს ხელი მიმნდობის სახელით კანონით ნებადართულ სხვა ნებისმიერ გარიგებებს, ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს და ყველა საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან, რაც პირდაპირ არაა მითითებული მინდობილობაში, მაგრამ სავალდებულოა ამ მინდობილობით დადგენილი დავალების შესასრულებლად.

2. იყოს მიმნდობის წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ ბანკში, უფლებამოსილია მართოს და განკარგოს საზოგადოების და მისი კუთვნილი ნებისმიერი საბანკო ანგარიშები, მათ შორის: აწარმოოს თანხის შეტანა, გამოტანა, გადარიცხვები, კონვერტაცია, გზავნილების მიღება, აიღოს ცნობა, ამანათი, ამონაწერი, დახუროს ნებისმიერი ტიპის ანგარიშ(ებ)ი, ანაბრები, ისარგებლოს ყველა საბანკო პროდუქტით/სერვისით (მათ შორის მინდობილი უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი დისტანციური მომსახურება, მათ შორის ინტერნეტბანკის და/ან SMS ბანკის ჩართვა/გამორთვის უფლება, ფინანსური ნომრის ცვლილების უფლება (განახორციელოს მიმნდობის საკონტაქტო და პერსონალური მონაცემების (ელ. ფოსტა და მობილური (SMS) ნომრის) შეცვლა), დაარეგისტრიროს ინტერნეტ ბანკინგის სრული ან სტანდარტული პაკეტი თავისი შეხედულებისამებრ, ისარგებლოს ინტერნეტ ბანკინგით, ასევე უფლებამოსილია მიიღოს და ისარგებლოს ყველა ტიპის პლასტიკური ბარათით, პლასტიკური ბარათების დაბლოკვის, დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში უფლებამოსილია განბლოკოს, განაახლოს და მიიღოს ყველა ტიპის პლასტიკური ბარათები (მათ შორის ბანკომატში დაკავებული ბარათები, მიიღოს (დაიბრუნოს) ბანკომატში დაკავებული ბარათი, გააგრძელოს ბარათის მოქმედების ვადა, გააუქმოს (დახუროს) ბარათი), მიიღოს ყველანაირი ინფორმაცია მიმნდობის ანგარიშ(ებ)ის შესახებ, აწარმოოს ნებისმიერი სახის სამართლებრივი ურთიერთობა, განუცხადოს ბანკს თანხმობა, რომ მიმნდობის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია მიიღოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსაგან ან/და მსგავსი უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოსაგან/პირისაგან და შეცვალოს მიმნდობის მონაცემები ამ ინფორმაციის საფუძველზე, გამოითხოვოს და/ან მიიღოს ნებისმერი სახის ინფორმაცია, მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, შეკრიბოს, წარადგინოს და/ან მიიღოს (გამოითხოვოს) ყველა საჭიროდოკუმენტები, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, განცხადებებს, თანხმობებს მიმნდობის სახელით და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან.

3. მინდობილობა ძალაშია ორიათას ოცდახუთი წლის ოცდათერთმეტი აგვისტოს ჩათვლით. მიმნდობი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს ზემოაღნიშნული მინდობილობა.

4. გადახდილია სანოტარო საზღაური თანახმად 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება #507, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების 31-ე მუხლისა 18 (თვრამეტი) ლარი (აგრეთვე დ.ღ.გ 3.24 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და 39-ე მუხლისა რეგისტრაციის საფასური 5 (ხუთი) ლარი (დ.ღ.გ ჩათვლით), სულ გადახდილია 26.24 (ოცდაექვსი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი.

მიმნდობი _____

ნოტარიუსი /იზგა ხარძიანი/.

Scanned by TapScanner

Scanned by TapScanner

ბრძანება:ბ**01.011912118**

თარიღი:**01/05/2019**

ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა N11ა-ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა N11ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.10.06.014.129) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონის“ 31-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 21-ე და 22-ე მუხლების, „განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის N19.388.520 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2019 წლის 30 აპრილის N67-01191202970 წერილით წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N11ა-ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა N11ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.014.129) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს კ-2=4.7;

2. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს დაინტერესებული პირის მიერ საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის 10%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით);

3. დაინტერესებულ პირს დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით წარუდგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - ქონების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული უძრავი ქონების გადაცემის თაობაზე;

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2019 წლის 30 აპრილის N67-01191202970 დასკვნასთან ერთად.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს მაია ბითაძეს.

6. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილებით დამტკიცებული მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის შესაბამისად;

7. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**67-01191202970**
თარიღი: **30/04/2019**

ადრესატი:

კახა კალაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

ზოგადი ინფორმაცია	
დასკვნა: დადებითი	
განცხადების ნომერი	N01182814234-67, N01183452471-67, N01191152437-67
განცხადების თარიღი	09.10.2018, 11.12.2018, 25.04.2019
ნომენკლატურა	ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური / სპეციალური (ზონალური) შეთანხმება / განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება / მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი – კ-2
მისამართი	ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N11ა-ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა N11ა
საკადასტრო კოდ(ებ)ი	N01.10.06.014.129 (არასასოფლო-სამეურნეო)
ფართობ(ებ)ი	1027 კვ.მ
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	ნაირა ხვინგია
არსებული ფუნქციური ზონა(ები)	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1-0.5 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2-2.5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3-0.3 სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1-0.2 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2------- მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3-0.8
მოთხოვნილი პარამეტრები *(არსებობის*	განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2=4.7

შემთხვევაში)	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
განმცხადებლის მოთხოვნა	ქალაქთმშენებლობითი პარამეტრის გაზრდა

საკითხის აღწერა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2018 წლის 09 ოქტომბრის N01182814234-67 (განმ.N01183452471-67 09.10.2018, 01191152437-67 25.04.2019) განცხადებით მომართა მოქალაქემ და მოითხოვა N01.14.11.011.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემა.

N01.10.06.014.059 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი 695 კვ.მ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 16 აგვისტოს N1-1853 ბრძანების გათვალისწინებით, 2017 წლის 21 აგვისტოს №3486734 21/08/2017 ბრძანებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით საცხოვრებელ ზონა 6-სა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ში (ტზ-1) დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ნაკვეთს საზოგადოებრივი სივრცე დაუდგინდა ჩრდილოეთით და სამხრეთით გზების მხრიდან და დასავლეთით დაურეგისტრირებელი სივრცის მხრიდან, № 4093841 01/08/2018 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 21 აგვისტოს N3486734 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდა ახალი საკადასტრო გეგმა: საკადასტრო კოდი N01.10.06.014.129; ფართობი 1027 მ2. რეგისტრაციის ნომერი N892018266306; რეგისტრაციის თარიღი 29.03.2018 წ. და დაფიქსირდა ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრის ახალი რუკა (სზ-6 და რზ-2);

ამჟამად მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გაზრდა 4.7-მდე. საპროექტო შენობის კონსტრუქციული სიმაღლე: 0,00 ნიშნულს ქვევით - 3,00 მ; 0,00 ნიშნულს ზევით 38,50 მ; ჯამი: - 41,50 მ. განმარტებითი ბარათის თანახმად საკვლევი არეალის მიმდებარედ ზენორმატიულად თავმოყრილია საზოგადოებრივი ობიექტების სიმრავლე. როგორიცაა მაგალითად: ჰიპერმარკეტი „გუდვილი“; მართლმადიდებლური ეკლესია; მრავალი საზოგადოებრივი, სამედიცინო, თუ საგანმანათლებლო დანიშნულების ობიექტი. ბოლო წლებში გაცემული ნებართვების მიხედვით საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში მშენებლობა მიმდინარეობს ან უკვე განხორციელებულია მოქმედი ფუნქციური ზონის ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-ს გადამეტებით. მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (კ2) გაზრდილია 4.7-მდე.

არსებული მდგომარეობით გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე ჩამოყალიბდა მაღალი ინტენსივობის განაშენიანება, საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ განთავსებულია 11-15 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გადამეტების შემთხვევაში საპროექტო შენობა იქნება 10 სართულიანი, შენობის სიმაღლე არ აღემატება მიმდებარე განაშენიანებას.

დასკვნა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 21-ე მუხლის შესაბამისად განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა შესაძლებელია, თუ: ცვლილებას მოითხოვს დედაქალაქის ტერიტორიების განვითარებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული (სოციალური, ეკონომიკური, ფორსმაჟორული და სხვა მსგავსი) მიზეზები; ცვლილება წონასწორდება ან კომპენსირდება იმგვარი ზომებით, რომელთა გატარება უზრუნველყოფს ჯანსაღი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების მოთხოვნების შელახვისა და გარემოზე არახელსაყრელი ზემოქმედების თავიდან აცილებას, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებას; ცვლილებას არ დაუპირისპირდება სხვა საზოგადოებრივი ინტერესები.

„განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის N19.388.520 განკარგულებით, რეკომენდაცია გაეწია ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველ ობიექტზე, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების თაობაზე კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლების შეცვლის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-19 დადგენილების ამოქმედებამდე წარდგენილ იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელთა თაობაზე

ადმინისტრაციული წარმოება არ დასრულებულა, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განსაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში, თუ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების ფარგლებში მიღებული ნამატი საანგარიშო ფართობი აღემატება 350 კვ.მ.-ს, ამასთანავე გადაწყვეტილება მიღებულ იქნას ქალაქგეგმარებითი პირობების (ურბანული, სატრანსპორტო და სხვა ქალაქთმშენებლობითი რეგულაციები) გათვალისწინებით. ამასთან, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის 10%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით).

ვინაიდან საპროექტო წინადადებით არ ირღვევა მიმდებარე განაშენიანების ხასიათი სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია ქალაქთმშენებლობითი პარამეტრის გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

სამართალურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტები:	
სამართალურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტები:	1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილება; 2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილება.
	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, წერილობითი დასტურის/მშენებლობის ნებართვის გაცემის რომელიმე სტადიის ან/და ტერიტორიული-სტრუქტურული დოკუმენტების დამუშავებისა ან/და მათში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინამდებარე დადგენილების ამოქმედებამდე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადების წარდგენის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ამავე კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-19 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლის მიზნით ამ დადგენილების ამოქმედებამდე წარდგენილ იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომელთა თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება არ დასრულებულა, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს განცხადების წარდგენის დროს მოქმედი წესების შესაბამისად. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6) დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: *მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კო ეფიციენტი კ-1=0.5* *მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2=2.5* *მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3=0.3* *მინიმალური ფართობი: 600 / 700* კვ.მ* *მინიმალური სიგანე 15 / 20 * მეტრი* *მინიმალური სიღრმე 25 / 30* მეტრი*

სამართლებრივი დასკვნა:	**მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის.* იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა დაუშვებელია, გარდა ამ მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების პარამეტრებიდან შეცვლას ექვემდებარება სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით – კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლები. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება დასაშვებია ერთჯერადად პზ-ში ნებისმიერი ფუნქციის, მათ შორის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ან/და საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობის მშენებლობისას. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა შესაძლებელია, თუ: ა) ცვლილებას მოითხოვს დედაქალაქის ტერიტორიების განვითარებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული (სოციალური, ეკონომიკური, ფორსმაჟორული და სხვა მსგავსი) მიზეზები; ბ) ცვლილება წონასწორდება ან კომპენსირდება იმგვარი ზომებით, რომელთა გატარება უზრუნველყოფს ჯანსაღი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების მოთხოვნების შელახვისა და გარემოზე არახელსაყრელი ზემოქმედების თავიდან აცილებას, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოთხოვნების დაკმაყოფილებას; გ) ცვლილებას არ დაუპირისპირდება სხვა საზოგადოებრივი ინტერესები. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განაშენიანების რეგულირების წესებით“ დადგენილი იმ ძირითადი პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლები, რომლებიც მოცემულია ამ კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტში ან დადგენილია იმავე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების მიხედვით, შეიცვლება ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ან სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე, თუ: *ა) ამას მოითხოვს დასახლების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და არქიტექტურული, აგრეთვე ტერიტორიის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა განსაკუთრებული მიზეზები;* *ბ) ცვლილება კომპენსირდება სხვა ღონისძიებებით;* *გ) ამას არ დაუპირისპირდება სხვა საზოგადოებრივი ინტერესები.* „განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის N19.388.520 განკარგულების მიხედვით, მუნიციპალიტეტის საბინაო სოციალური ვალდებულებები ეფექტურად შესრულების მიზნით, იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც განსახილველად წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-19 დადგენილების ამოქმედებამდე და ქალაქგეგმარებითი (ურბანული, სატრანსპორტო და სხვა ქალაქთმშენებლობთი რეგულაციები) თვალსაზრისით კოეფიციენტის გადამეტება მიზანშეწონილია განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საბინაო ვალდებულებებთან თავსებად ახალი მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენებით. ვინაიდან N01182814234-67 (N01183452471-67, N01191152437-67) განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო გადაწყვეტა არ არღვევს არსებულ

	გარემოს და მიმდებარედ ჩამოყალიბებული განაშენიანების ხასიათს და ამასთანავე, სოციალური მიზნებისთვის ითვალისწინებს მაკომპენსირებელ ღონისძიებებს, ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N11ა-ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა N11ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.014.129) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსებისთვის მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებია.

ალექსანდრე ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)


1
2
3
4
A
B
C
D
E
F
6,5
6
6,45
4,3
6,9
5,3
6,65
0,8
9,35
9,15
4,95
3,85
6,2
2,4
0,2
16,55
N
4626300
480150


55,9
22.35/0.4=55.88
ფილგო ხაზი
ფილგო ხაზი
13.4/0.4=33.5
33,5
ფილგო ხაზი
ფილგო ხაზი
0,2
0,2
22,3⁵
31,5
13,4
16,5⁵
6
6,5
6
6,5
6
6,5
9,3⁵
4,3
A
B
C
D
E
F